ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

10.07.2012 N 88

თბილისი

უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ
საგანამანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ
(შიდა მობილობა)

ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 30 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ–კვირის გარდა, 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე, მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 18 აგვისტოსა;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 3-ით;

6. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ ბრძანებების პროექტის მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2012 წლის 21 აგვისტოსა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე

დანართი 1

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. სტუდენტის სტატუსის ცნობა;
5. დოქტორანტებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ სავარაუდო ხელმძღვანელის რეკომენდაცია.

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა შიდა მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ ბაკალავრიატი ❑ დოქტორანტურა ❑ მაგისტრატურა

ინფორმაცია გამომშვები ფაკულტეტის შესახებ:	
გამომშვები ფაკულტეტის დასახელება:	
გამომშვებ ფაკულტეტზე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ ფაკულტეტზე სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების ჩამონათვალი სემესტრების მიხედვით	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	მიმღებ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი			ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	

მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:

❑ რეკომენდებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდებული

შენიშვნა

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____
ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

_____ _____
ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი:

_____ _____
ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____
ხელმოწერა

დანართი 3

სტუ–ს შესაბამისი ფაკულტეტების მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი (სემესტრი)
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	
0–დან 25–მდე 25–დან 90–მდე 90–დან 165–მდე 165–დან	პირველი წელი (პირველი სემესტრი) მეორე წელი (მესამე სემესტრი) მესამე წელი (მეხუთე სემესტრი) მეოთხე წელი (მეშვიდე სემესტრი)
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	
0–დან 45–მდე 45–დან	პირველი წელი (პირველი სემესტრი) მეორე წელი (მესამე სემესტრი)
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	
0–დან 30–მდე 30–დან 105–მდე 105-დან	პირველი წელი (პირველი სემესტრი) მეორე წელი (მესამე სემესტრი) მესამე წელი (მეხუთე სემესტრი)